საწარმოთა ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პრობლემური საკითხები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრაციის ეტაპზე არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზები

თათია გაწერელია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ივანე გოგელია, ასოცირებული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განვიხილავ საწარმოთა ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის პრობლემურ საკითხებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეგისტრაციის ეტაპზე არსებულ ხარვეზებს და მათი აღმოფხვრის გზებს.

ნაშრომი შედეგება ექვსი თავისგან და ქვეთავებისგან, სადაც განხილულია ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის ინსტიტუტი და კონკრეტულად მითითებულია, რა შეიძლება წარმოადგენდეს ხარვეზს კანონმდებლობაში ან ხარვეზს რეგისტრაციის ეტაპზე.

პირველი თავი ძირითადად ეხება ლიკვიდაციის ზოგადი წესის მიმოხილვას, მის სახეებს. მეორე თავი აერთიანებს ლიკვიდაციის დაწყების ეტაპს და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს. აღნიშნული თავი მოიცავს ხუთ ქვეთავს, სადაც მოტანილია კონკრეტული მაგალითები და პრობლემური საკითხები.

მესამე თავში საუბარია რეორგანიზაციის ზოგადი წესის მიმოხილვაზე. თავს აქვს სამი ქვეთავი, რომლებიც ეხება კონკრეტულ პრობლემატურ საკითხებს რეორგანიზაციასთან მიმართებით. მეოთხე თავში საუბარია ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციის წესზე და ეს თავი არ იყოფა ქვეთავებად. თითოეულ ქვეთავს აქვს შუალედური დასკვნა.

ნაშრომის მიზანია, დააიდენტიფიციროს საწარმოთა ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის ზოგიერთი პრობლემური მხარე, იქნება ეს გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით თუ მარეგისტრირებელი ორგანოს პრაქტიკით. აღნიშნულის საფუძველზე კი მოახდინოს გარკვეული რეკომენდაციების გაწევა ზემოხსენებული პრობლემებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ნაშრომის ბოლო, მეხუთე თავს წარმოადგენს დასკვნა, სადაც შეჯამებულია ნაშრომის ფარგლებში განხილული პრობლემატიკა, მათი აქტუალურობა და მოგვარების გზები.

Abstract

In the present Master's paper I will discuss the problematic issues with regard to the liquidation and reorganization of the business entities in accordance with the Law of Georgia on Entrepreneurs, the existing gaps at the registration phase and the ways of their elimination.

This thesis consists of five chapters and subsections, which discuss the institutes of liquidation and reorganization and specifically point to the existing gaps in the legislation and practice with respect to these institutions at the phase of registration. Each of the subsection sets a specific problem and presents an interim conclusion, in which proposes solution of this problem.

The first chapter deals with the concept of liquidation, reviews its general regulation and its types. The second chapter combines discussion about the gaps in the initiation phase of the liquidation process and in practice. This chapter covers five subsections, where the problematic issues and their specific examples are discussed.

The third chapter treats a general rule of reorganization. This chapter integrates three subsections, which deal with the specific problematic issues related to reorganization. The fourth chapter is devoted to the rules for liquidation of the non-commercial organizations and to the unprecedented court decision.

The last, fifth chapter of the work presents the conclusion, which summarizes the problems discussed within the framework of the thesis, their actuality and the ways of their settlement. The purpose of the thesis is to identify some problematic issues with regard to the liquidation and reorganization of business entities, whether it is caused by the existing gaps in Georgian legislation or by practices of the registration body and based on that to make some recommendations about the ways of the elimination of the abovementioned problems and gaps.